სარჩევი

რა არის ახალი 3

პროგრამიდან SMS დაგზავნა ვადაგადაცილებულ კლიენტებისთვის 3

ზოგადი აღწერა 3

SMS შეტყობინება 3

შეტყობინების შაბლონები 3

შეტყობინების რეგლამენტურად გაგზავნის ტიპები 6

პროგრამა ბალანსიდან გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურაზე კომენტარის მითითების შესაძლებლობა 7

ეტიკეტების/საფასარების საბეჭდი ფორმაში რაოდენობის ექსელით შეტვირთვის შესაძლებლობა 8

დამატებითი რეკვიზიტებზე "სიაში/არ არის სიაში" პირობის დამატება 8

გაყიდვების დამხმარეში უკან დაბრუნება 10

ზოგადი აღწერა 10
სალარო აპარატის აწყობები ჩეკის დაბრუნებაზე 10
მოლარის სამუშაო ადგილიდან საქონლის დაბრუნება 11
გაყიდვების დამხმარედან უკან დაბრუნებისას ავტომატურად გაფორმებული დოკუმენტები 12
გასწორებული შეცდომები 13
სხვა მოდიფიკაციები 14

ბალანსის რელიზი_1.3.3.4

09.03.2023

რა არის ახალი

პროგრამიდან SMS დაგზავნა ვადაგადაცილებულ კლიენტებისთვის

ზოგადი აღწერა

პროგრამა ბალანსში დაემატა მყიდველის დავალიანების და მყიდველის ვადაგადაცილებული დავალიანების გაგზავნა მეილით და მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS) მაგთის ნომრიდან.

ფუნქციონალის ჩასართავად აუცილებელია გააქტიურდეს ალმები „**ფოსტის კლიენტი**“ და „**ზარები, SMS, შეხვედრები და დაგეგმილი ურთიერთქმედებები**“ ალმები განთავსებულია ადმინისტრირების მოდულში ორგანაიზერის ჩანართში.

ფუნქციონალის გამოსაყენებლად პროგრამაში დაემატა:

- SMS შეტყობინება
- შეტყობინების შაბლონები
- შეტყობინების რეგლამენტურად გაგზავნის ტიპები

SMS შეტყობინება

SMS გაგზავნისას პროგრამაში ავტომატურად იქმნება SMS შეტყობინების დოკუმენტები, რომლებიც განთავსებულია: **ადმინისტრირება>ორგანაიზერი>SMS შეტყობენება**

შეტყობინების შაბლონები

შეტყობინების შაბლონები შეგიძლიათ შექმნათ ადმინისტრირების ჩანართიდან, აწყობების დაჯგუფებიდან ორგანაიზერში

ადმინისტრირება>>ორგანაიზერი>>შეტყობინების შაბლონები



საფუძველში ეთითება იმის მიხედვით თუ რა ინფორმაცია უნდა გაეგზავნოს პროგრამიდან მყიდველებს: ამ ეტაპზე საფუძველში გვაქვს 2 მნიშნელობის არჩევა:

1. მყიდველების დავალიანება
2. მყიდველების ვადაგადაცილებული დავალიანება

საფუძვლის მიხედვით იცვლება შაბლონის ასაწყობი პარამეტრები, მაგ: თუ საფუძველში მითითებულია მყიდველის დავალინება, პარამეტრებში ასარჩევი იქნება თანხის ნაშთი ვალუტაში, იმ შემთვევაში თუ მითითებულია - მყიდველის ვადაგადაცილებული დავალიანება, მაშინ პარამეტრებში ასარჩევი იქნება ვადაგადაცილებული თანხა ვალუტაში. შაბლონის პარამეტრებიდან შაბლონში შესაძლებელია გადავიდეს მყიდველის დასახელება (სრული დასახელება) და საიდენთიფიკაციო კოდი (ს/ნ), რათა მიმღებმა მხარემ გაიგოს რომელი კომპანიაზე უფიქსირდება დავალიანება.

შაბლონის აწყობისას ეთითება რომელი ტიპის შეტყობინებისთვის იწყობა SMS-სთვის თუ Email-სთივს:



პარამეტრებიდან ინფორმაციის შაბლონში ასახვისათვის უბრალოდ უნდა გადავიტანოთ პარამეტრი შაბლონში ე.წ Drag & Drop-ით.

SMS გაგზავნისთვის შაბლონის საფუძველზე ვაკლიკებთ „**SMS შეტყობინება შაბლონის მიხედვით**“
მეილით გაგვზანისას კი **წერილი შაბლონის მიხედვით**“
ღილაკზე დაჭერით გადავდივართ შემდეგ ფანჯარაში, სადაც მითითებულია ყველა მყიდველი, რომლებსაც მიმდინარე პერიოდში უფიქსირდება დავალიანება:



ისეთი მყიდველებს, რომელებსაც ბარათზე შევსებული აქვთ ტელეფონი, პროგრამა ავტომატურად მონიშნავს ალმით, თუმცა მომხმარებელს შეუძლია აღნიშნულ ფანჯარაშიც დააკორექტიროს ნომერი, შეტყობინების ტექსტი და შემდგომ გადააგზავნოს შეტყობინება.

მომხმარებელს შეუძლია შეტყობინების მიმღებს ალამი ჩაურთოს/გაუთიშოს იმის მიხედვით, თუ რომელი ადრესატისთვის სურს შეტყობინების გაგზავნა. საბოლოოდ შეტყობინების გაგზავნისთვის ვაწვებით **გაგზავნა** ღილაკს.

შეტყობინების რეგლამენტურად გაგზავნის ტიპები

ბალანსში შესაძლებელია შეტყობინებები ავტომატურად გაიგაზვნოს წინასწარი გაწერილი განრიგის მიხედვით. ამისათვის პროგრამაში დაემატა შეტყობინების რეგლამენტურად გაგზავნის ტიპები.



აწყობისას უნდა მიეთითოს რომელი ტიპის შეტყობინებისთვის იქმნება რეგლამენტური დავალება SMS თუ Email. ტიპის არჩევის შემდომ მისაწვდომი ხდება შესაბამისი შაბლონები SMS-ისთვის ან Email.

რეგლამენტური დავალების გამოყენება ალმის მონიშვნით შესაძლებელია გრაფიკის აწყობა:



განრგიგში ეთითება დღის რა დროისთვის და რა სიხშირით გაეშვას აღნიშნული რეგლამენტირებული დავალება.

პროგრამა ბალანსიდან გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურაზე კომენტარის მითითების შესაძლებლობა

ბალანსში ანგარიშ-ფაქტურის დოკუმენტს დაემატა კომენტარის ველი. აღნიშნულ ველში მითითებული ინფორმაცია ანგარიშ-ფაქტურის გაგზავნისას RS.GE პორტალზე შენიშვნა/კომენტარის ველში აისახება.

პროგრამის მომხმარებლებს შესაძლებელია სხვადასხვა სახის ინფორმაციის მითითება დასჭირდეთ ანგარიშ-ფაქტურაზე, ამიტომ პროგრამა თითოეული მომხმარებლს კომენტარის ველში უგდებს მხოლოდ იმ კომენტარებს რომლების მას აქვს მითითებული.



კომენტარის ველი ანგარიშ-ფაქტურის გაგზავნის შემდგომ არის არაკორექტირებადი. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელმა არასწორი კომენტარი მიუთითა და გადააგზავნა ანგარიშ-ფაქტურა RS.GE პორტალზე მაშინ პროგრამიდან უნდა წაიშალოს აღნიშნული ანგარიშ-ფაქტურა და თავიდან შეიქმნას, რომელზეც შესაძლებელი იქნება მიეთითოს განახლებული კომენტარი.

ეტიკეტების/საფასარების საბეჭდი ფორმაში რაოდენობის ექსელით შეტვირთვის შესაძლებლობა

ბალანსში დაემატა ეტიკეტის და საფასარის ბეჭდვის დამუშავებაში ექსელით რაოდენობის შეტვირთვის შესაძლებლობა. ექსელის შეტვირთვისას აწყობის ფანჯარაში უნდა მოინიშნოს ალამი ეტიკეტების რაოდენობა ან/და საფასარების რაოდენობა, იმის მიხედვით ეტიკეტის რაოდენობის შეტვირთვა არის საჭირო თუ საფასარის რაოდენობის. ალმის მონიშვნის შემდგომ უნდა განახლდეს ცხრილური დოკუმენტის გვერდი.



დამატებითი რეკვიზიტებზე "სიაში/არ არის სიაში" პირობის დამატება

პროგრამა ბალანსში შესაძლებელი გახდა როგორც ცნობარების, ასევე დოკუმენტების დამატებით რეკვიზიტებზე „სიაში/არ არის სიაში“ პირობის დამატება, რაც საშუალებას გვაძლევს, კონკრეტულ რეკვიზიტებზე ერთდროულად რამდენიმე ობიექტს ჩავურთოთ მისაწვდომობა, ხილვადობა ან სავალდებულოობა.

ამისათვის საჭიროა დამატებით რეკვიზიტზე მივუთითოთ განსაზღვრული პირობები:

- ობიექტებზე მისაწვდომობის შეზღუდვისათვის უნდა მოხდეს შესაბამისი ალმის გააქტიურება, ლინკზე გადასვლით კი კონკრეტული პირობის დადგენა. მაგალითად, თუ გვსურს ნომენკლატურის ცნობარის რეკვიზიტზე გარკვეულ მომხმარებლებს ჰქონდეთ მხოლოდ მისაწვდომობა, შეგვიძლია დავადგინოთ შემდეგნაირი პირობა



- რეკვიზიტში უნდა მივუთითოთ მიმდინარე მომხმარებელი, შედარების ტიპში - „სიაში“, ხოლო მნიშვნელობაში დავამატოთ ის მომხმარებლები, რომელთაც უნდა ჰქონდეთ წვდომა ამ დამატებით რეკვიზიტზე. ისეთ მომხმარებლებს, რომელთაც არ ჩავაგდებთ მნიშვნელობაში, ეს რეკვიზიტი გამოუჩნდებათ ნომენკლატურაზე, თუმცა არ იქნება მისაწვდომი.

- ასევე შესაძლებელია დამატებით რეკვიზიტზე ხილვადობის შეზღუდვა გარკვეული მომხმარებლებისთვის. ამ პირობის დაყენება ხდება მისაწვდომობის შეზღუდვის მსგავსად, თუმცა ხილვადობის პირობის რედაქტირებისას.
  ასეთ შემთხვევაში მხოლოდ იმ მომხმარებლებს გამოუჩნდებათ რეკვიზიტი ცნობარზე/დოკუმენტზე, რომელიც მითითებული იქნება მნიშვნელობაში. სხვა მომხმარებლებს ხედვა არ ექნებათ ამ რეკვიზიტზე.
- გარდა ამისა შესაძლებელია, რომ ცნობარზე/დოკუმენტზე მხოლოდ გარკვეული მომხმარებლების ჯგუფს გავუაქტიუროთ სავალდებულოობის პირობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელობაში მითიღებული მომხმარებლები ვერ ჩაწერენ ცნობარს/დოკუმენტს, თუ არ ექნებათ შევსებული სავალებულო დამატებითი რეკვიზიტი. ის მომხმარებლები, რომლებიც არ იქნება პირობასი მითითებული, შეძლებენ ობიექტების ჩაწერას ამ დამატებითი რეკვიზიტის შევსების გარეშეც.





გაყიდვების დამხმარეში უკან დაბრუნება

ზოგადი აღწერა

გაყიდვების დამხმარეში დაემატა საქონლის უკან დაბრუნების ფუნქციონალი. აღნიშნული ფუნქციონალი ითვალისწინებს რეალიზებული საქონლის მოლარის ინტერფეისიდანვე, მარტივად უკან დაბრუნებას იმავე ცვლაში, რომელშიც მოხდა რეალიზაცია.

მიმდინარე ეტაპზე, ჩეკის უკან დაბრუნება შესაძლებელია ისეთი დოკუმენტის ტიპებისთვის, რომლებზეც გაფორმებულია „რეალიზაცია გადახდით“ ან „წარმოება და რეალიზაცია გადახდით“. ასევე გასათვალისწინებელია, რომ უკან დაბრუნებისას, თანხის დაბრუნება მყიდველისთვის შესაძლებელია მხოლოდ ნაღდი ანგარშსწორებით.

სალარო აპარატის აწყობები ჩეკის დაბრუნებაზე

იმისთვის რომ გაყიდვების დამხმარეში შესაძლებელი იყოს დაბრუნების ფუნქციონალის გამოყენება, სალარო აპარატზე შევსებული უნდა იყოს ცხელი ღილაკების ველი. ცხელი ღილაკების ცნობარის დამატება და არჩევა სალარო აპარატზე, გაყიდვების დამხმარეში ავტომატურად გააქტიურებს დაბრუნების ფუნქციონალს.



მოლარის სამუშაო ადგილიდან საქონლის დაბრუნება

გაყიდვების დამხმარეში, მოლარის სამუშაო ადგილზე საქონლის უკან დაბრუნების ღილაკი ხილვადი და აქტიურია, როდესაც მოლარეს არჩეული აქვს დარეალიზებული საქონლის ჟურნალი



ღილაკზე დაჭერის შედეგად მოლარეს გამოუჩნდება საქონლის სიის შესაყვანი ველი, სადაც უნდა აირჩეს დასაბრუნებელი საქონელი. ჩეკის დაბრუნება შესაძლებელია როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ. იმ შემთხვევაში, თუ შერჩეული საქონელი არ ფიქსირდება ჩეკში, გამოვა

შეტყობინება საქონლის ჩეკში არ არსებობის შესახებ, ასევე, თუ საქონლის რაოდენობა აღემატება ჩეკში არსებულ რაოდენობას პროგრამა არ მოგვცემს დაბრუნების უფლებას. მას შემდეგ რაც შევარჩევთ დასაბრუნებელი საქონლის სიას და დავაჭერთ ღილაკს OK, გადავალთ გადახდების ჩანართზე, სადაც მიმდინარედ, თანხის დაბრუნება მომხმარებელზე შესაძლებელია მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით. თანხის გადატანით და OK ღილაკზე დაჭერით, დაბრუნების ოპერაცია დასრულებულია. ხოლო, თუ მომხმარებელმა გადაიფიქრა საქონლის უკან დაბრუნება, დაბრუნების გაუქმება ღილაკზე დაჭერით შესაძლებელია ოპერაციის შეწყვეტა.

გაყიდვების დამხმარედან უკან დაბრუნებისას ავტომატურად გაფორმებული დოკუმენტები

1. **რეალიზაციის კორექტირება** - მას შემდეგ რაც გაყიდვების დამხმარედან მოხდება ჩეკის უკან დაბრუნება, პროგრამაში ავტომატურად იქმნება რეალიზაციის კორექტირება, ოპერაციის ტიპით „დაბრუნება“, რომელშიც რეალიზაცია გადახდით, ან გამოშვება და რეალიზაცია გადახდით დოკუმენტის საფუძველზე გადავსებულია ყველა საჭირო ველი, მათ შორის იმ საქონლის სია, რომლის დაბრუნებაც მოხდა



2. **სალაროს გასავლის ორდერი** - მოლარის სამუშაო ადგილიდან უკან დაბრუნების შემდეგ, კორექტირების საფუძველზე ავტომატურად იქმნება სალაროს გასავლის ორდერი, ოპერაციის ტიპით „მყიდველისთვის თანხის დაბრუნება“, სადაც „სალაროს“ ველი ივსება რეალიზაციის დოკუმენტში დაფიქსირებული, სსა სალაროზე მითითებული სალაროდან, ფულადი სახსრების მუხლი გადავსებულია გადახდის ტიპზე მითითებული მუხლით, ხოლო სხვა დანარჩენი რეკვიზიტები შევსებულია რეალიზაციის კორექტირების დოკუმენტიდან.



გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია ამონაწერის ჩატვირთვის შეცდომა ხელფასის გადახდის დროს
- გასწორებულია კონტრაგენტების ხელშეკრულებაზე "ანგარიშწორება დოკუმენტების მიხედვით" ფუნქციის ხილვადობის ხარვეზი
- გასწორებულია რეალიზაციის დოკუმენტში ნომენკლატურის გადავსების ხარვეზი
- გასწორებულია მარკეტის ლიცენზიით საქონლის ჩამოწერის დოკუმენტების დათვალიერების ხარვეზი
- გასწორებულია დეკომპლექტაციის დოკუმენტში მაკოპლექტებლების ღირებულების გაორმაგების ხარვეზი
- გასწორებულია შესყიდვის დოკუმენტში საპენსიოს ხარჯის ანალიტიკის შევსების ხარვეზი
- გასწორებულია პროდუქციის გამოშვება და რეალიზაციის დოკუმენტში ზედნადების დასრულების ხარვეზი
- შეიზღუდა შეზღუდულ იუზერისთვის პერიოდის დახურვისას აკრძალვის თარიღის აწყებებზე გასვლის შესაძლებლობა
- გასწორებულია ანგარიშგება საცალო გაყიდვებში შეფუთვის ზომის ერთეულის ხარვეზი
- გასწორებულია საერთო მოგების რეპორტებში მარჟის ფილტრის ხარვეზი
- გასწორებულია გადახდის გრაფიკის შსეტვირთვის შეცდომა
- გასწორებულია ამონაწერიდან ხელფასის გადახდის დოკუმენტის გაფორმებისას დაფიქსირებული შეცდომა
- გასწორებულია ტიპიურ ოპერაციების პარამატერებში შევსების ტიპი „დაყენებისას“ ფიქსირებადი ხარვეზი

სხვა მოდიფიკაციები

- ვებ-სერვისებში რეალიზაციის ცვლილებების დამახსოვრების გაკეთება
- ნომენკლატურის შერჩევის დამუშავებაში დაემატა ნომენკლატურის კოპირება/შექმნა ღილაკი
- ბანკის ამონაწერის წესებში დაემატა დამატებითი დანიშნულების ძიების პარამეტრები
- შესაძლებელი გახდა შერჩევის დამუშავების ფორმიდან რეზერვის დოკუმენტებზე გადასვლა
- დაემატა გაცემული ანგარიშ-ფაქტურაში კომენტარის ველის დაფიქსირების საშუალება
- შესაძლებელი გახდა სასაჩუქრე ბარათების რეალიზაციის გადახდების რეპორტში გამოტანა
- შესაძლებელი გახდა ეტიკეტების საბეჭდ ფორმაში შეფუთვის ერთეულისა და შტრიხკოდის გამოტანა